

საქმე N 3-----
N1/2---19



განაჩენი საქართველოს სახელით

31.03.2020 წელი

ქ. გურჯაანი

გურჯაანის რაიონული სასამართლო
მოსამართლე - ნუნუ ნემსიწვერიძე
სხდომის მდივანი - ალიკა ლეგაშვილი

გურჯაანი რაიონული პროკურატურის პროკურორ - ოთარ სამუნაშვილის
ბრალდებულების- გი----- დო-----ლის, გი----- იმ-----ლის
ადვოკატების- მა----- ღვ-----ის, ლი- ხუ-----ლის
კანონიერი წარმომადგენლების - მა----- პი-----კის, თე- კუ-----ძის
თარჯიმნის- რა---- მე-----ლის
მონაწილეობით,

დახურულ, სასამართლო სხდომაზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე
(გამოძიების N 0-----)

ბრალდებულ: 1) **გი----- დო-----ლი**;

დაბადებული: 08.11.2-----;

მამის სახელი: ბო-----;

პირადი ნომერი: 4-----;

მოქალაქეობა: საქართველო.

განათლება: არასრული საშუალო.

ოჯახური მდგომარეობა: დასაოჯახებელი.

ნასამართლობა: ნასამართლობის არ მქონე.

რეგისტრირებული: ქ. ყვარელი, აღდგომის ქ.N3-;

ფაქტობრივად მცხოვრები: ქ. ყვარელი, აღდგომის ქ.N3-;

პასუხისგებაში მიცემის მუხლი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (5 ეპიზოდი), 177-ე მუხლის მეორე ნაწილი „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები (3 ეპიზოდი), 19-177-ე მუხლის მეორე ნაწილი „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები (1 ეპიზოდი) 177-ე მუხლის მეორე ნაწილი „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები და 3-ე ნაწილის „ა“ , „გ“ ქვეპუნქტები (3 ეპიზოდი), 126¹ მუხლის პირველი ნაწილი, 11¹ -381¹ მუხლის პირველი ნაწილი.

გი----- დო-----ლს ბრალი ედება მასში, რომ ჩაიდინა

1). ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2019 წლის 14 იანვარს, დაახლოებით 22:24 საათზე, არასრულწლოვანი

გი----- დო-----ლი, ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. №4--ში მდებარე სს "სმ-----ის" მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სუპერმარკეტიდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა სხვადასხვა დასახელების პროდუქციას, რითაც სს "სმ-----ს" მიაყენა 30,65 ლარის მატერიალური ზიანი.

2). ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ასევე 2019 წლის 15 იანვარს, დაახლოებით 20:07 საათზე,

არასრულწლოვანი **გი----- დო-----ლი**, ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. №4--ში მდებარე სს "სმ-----ის" მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სუპერმარკეტიდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა სხვადასხვა დასახელების პროდუქციას, რითაც სს "სმ-----ს" მიაყენა 54,60 ლარის მატერიალური ზიანი.

3). ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2019 წლის 21 მარტს, დაახლოებით 22:30 საათზე, არასრულწლოვანებმა გი----- იმ-----ლმა და გი----- დო-----ლმა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, უკანონოდ შეაღწიეს ქ. ყვარელში, ი. ჭავჭავაძის ქუჩა №2--ში მდებარე ვე----- ავ-----ლის ოჯახის კუთვნილი პურის საცხობში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლნენ მის კუთვნილ, დაახლოებით 27 ლარის ოდენობის ფულად თანხას.

4) ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2019 წლის 09 აპრილს, 18:13 სთ-დან 18:24 სთ - მდე მონაკვეთში, არასრულწლოვანი გი----- დო-----ლი, ქ. ყვარელი ი. ჭავჭავაძის ქ. N1---ი მდებარე სს „ნი-----ს“ კუთვნილი სუპერმარკეტიდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 31 ლარის და 42 თეთრის საერთო ღირებულების პროდუქტს და სპირტიან სასმელებს, რითაც სს „ნი-----ს“ მიაყენა მატერიალური ზიანი.

5). ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2019 წლის 25 აპრილს, 22:26 საათზე, არასრულწლოვანი გი----- დო-----ლი, ქ. ყვარელი ი. ჭავჭავაძის ქ. N1---ი მდებარე სს „ნი-----ს“ კუთვნილი სუპერმარკეტიდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 2 ბოთლ "დავითის" ფირმის კონიაკს, რითაც სს „ნი-----ს“ მიაყენა 16 ლარის და 56 თეთრის მატერიალური ზიანი.

6). ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2019 წლის 13 აპრილს, შუადღის საათებში, არასრულწლოვანმა გი----- დო-----ლმა, ჯგუფურად, არასრულწლოვან გი----- იმ-----ლთან ერთად, უკანონოდ შეაღწია ქ. ყვარელში, ჭავჭავაძის ქუჩაზე №1---ში მდებარე ვი-----ელ-----ლის კუთვნილი პურის საცხობში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 1000 ლარად ღირებულ ტრანსფორმატორს, რითაც დაზარალებულს მიდგა მნიშვნელოვანი ზიანი.

7) ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2019 წლის 15 აპრილიდან, 2019 წლის 19 აპრილამდე დროის შუალედში არასრულწლოვანმა გი----- დო-----ლმა, უკანონოდ შეაღწია ქ. ყვარელში, ჭავჭავაძის ქუჩაზე №1---ში მდებარე ვი-----ელ-----ლის

კუთვნილი პურის საცხობში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა მის კუთვნილ ლითონის ფილებს და სხვადასხვა ლითონის ნივთებს, რითაც დაზარალებულს მიდგა 3811,1 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

8). ქურდობის მცდელობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების მცდელობა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რასაც შესაძლოა გამოეწვია მნიშვნელოვანი ზიანი, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2019 წლის 19 აპრილს არასრულწლოვანი გი----- დო-----ლი, ქ. ყვარელში, ჭავჭავაძის ქუჩაზე №1---ში მდებარე ვი----- ელ-----ლის კუთვნილი პურის საცხობიდან ცდილობდა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლებოდა ლითონის 17 ცალ ფილებს, რითაც დაზარალებულს შესაძლოა მისდგომოდა 188,7 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი და რა დროსაც იგი მხილებული იქნა შსს ყვარლის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ.

9) ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2019 წლის 02 აგვისტოს, დაახლოებით 15:00 საათზე, არასრულწლოვანმა გი----- დო-----ლი, ქ. ყვარელში, ე.წ. „კაზარმების“ ტერიტორიაზე მდებარე გე--- გე---ძის მიწის ნაკვეთიდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა მის კუთვნილ 6.5 კილოგრამ თხილს, რითაც მას მიაყენა 45.50 ლარის მატერიალური ზიანი

10). ჩაიდინა ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი საცავში უკანონოდ შეღწევით.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2019 წლის 14 მაისს, დაახლოებით 23:30 საათზე, გი----- დო-----ლმა ხელით ჩაამსხვრია ქ. ყვარელში, ჭავჭავაძის N1---ში მდებარე ნო----- სე-----ლის კუთვნილი სასურსათო მაღაზიის ფანჯრის მინა, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა სხვადასხვა დასახელების პროდუქტს, რითაც დაზარალებულს მიაყენა 18,80 ლარის მატერიალური ზიანი.

11. ჩაიდინა ოჯახში ძალადობა, ესე იგი ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის

მიმართ სისტემატური შეურაცხყოფა, რამაც გამოიწვია ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია სსკ-ის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ქ. ყვარელი, აღდგომის ქ. №3--ში მცხოვრები არასრულწლოვანი გი----- დო-----ლი ხშირად იღებდა ალკოჰოლურ სასმელს, რაც მას ხდოდა აგრესიულს. ნასვამ მდგომარეობაში მყოფი გი----- დო-----ლი, 2019 წლის აგვისტოს თვიდან, 2020 წლის 25 იანვრამდე სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას მასთან ერთად მცხოვრებ მამას - ბო----- დო-----ლს, რომელსაც მიმართავდა უცენზურო სიტყვებით და ლახავდა მის პატივს და ღირსებას. გი----- დო-----ლის მიერ განხორციელებული ქმედებები იწვევდა ბო----- დო-----ლის ტანჯვას.

12. ჩაიდინა ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი საცავში უკანონო შელწევით.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2019 წლის დეკემბრის ბოლოს, გი----- დო-----ლმა უკანონოდ შეაღწია ქ. ყვარელი, დურუჯის ქ. №1-- - ში მდებარე, სე----- მზ-----ლის საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე სათავსოში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა მის კუთვნილ 1 ცალ „FALCO“-ს ფირმის ხელის ამწეს (ე.წ. „ტალს“), რითაც დაზარალებულს მიაყენა 130 ლარის მატერიალური ზიანი.

13. ჩაიდინა ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი საცავში უკანონო შელწევით, ბინაში უკანონო შელწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2020 წლის 12 იანვარს, დაახლოებით 20:30 საათზე, გი----- დო-----ლმა უკანონოდ შეაღწია ქ. ყვარელი, დურუჯის ქ. №1-- - ში მდებარე, სე----- მზ-----ლის საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე სათავსოში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა მის კუთვნილ ნივთებს, კერძოდ: 20 ლიტრიან ბიდონში მოთავსებულ ტრაქტორის დიზელის ძრავის ზეთს, 2 ცალი 5 ლიტრიან ბიდონს, მასში მოთავსებული ლურჯი ფერის სითხით, რის შემდეგაც გი----- დო-----ლმა უკანონოდ შეაღწია სე----- მზ-----ლის საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე არსებულ ოთახში და

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა „KENWOOD“-ის ფირმის ხორცის საკვებ მანქანას. გი----- დო-----ლის ქმედების შედეგად, სე----- მზ-----ლს მიაღდა 460 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

14. ოჯახის წევრის მიმართ ჩაიდინა შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების და ვალდებულებების შეუსრულებლობა.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2020 წლის 06 იანვარს, შსს ყვარლის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ გამომძიებელ - თე----- სე-----ლის მიერ, გი----- დო-----ლის მიმართ გამოცემული იქნა შემაკავებელი ორდერი № 0-----, რომლის თანახმადაც გი----- დო-----ლს აკრძალა მსხვერპლთან - მამასთან, ბო----- დო-----ლთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, მათ შორის ტელეფონის, სოციალური ქსელისა და სხვა ტექნიური საშუალებებით. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გი----- დო-----ლმა არ შეასრულა შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნები და ვალდებულებები, 2020 წლის 25 იანვარს, საღამოს სააღებში, იგი მივიდა ბო----- დო-----ლის სამუშაო ადგილზე, კერძოდ: ქ. ყვარელი, ფატმასურის დასახლებაში მდებარე ნო----- სე-----ლის კუთვნილ ვენახში არსებულ სადარაჯო ქოხში, სადაც ბო----- დო-----ლს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

ბრალდებულ: 2) გი----- იმ-----ლი;

მამის სახელი: გი-----;

დაბადებული: 09.05.2-----.

პირადი ნომერი: 4-----

მოქალაქეობა: საქართველო.

განათლება: არასრული საშუალო.

ოჯახური მდგომარეობა: დასაოჯახებელი.

ნასამართლობა: ნასამართლობის არ მქონე.

რეგისტრირებული: ქ. ყვარელი, ჩოლოყაშვილი ქ. N-;

ფაქტობრივად მცხოვრები: ქ. ყვარელი, ჩოლოყაშვილი ქ. N-;

პასუხისგებაში მიცემის მუხლი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 177-ე მუხლის მეორე ნაწილი „ბ“ ქვეპუნქტი და 3-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, 177-ე მუხლის მეორე ნაწილი „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები და 3-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

გი----- იმ-----ლს ბრალი ედება მასში, რომ ჩაიდინა

1. ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2018 წლის 08 დეკემბერს, შუადღის საათებში, 14 წლის გი----- იმ----- ლი, ქ. ყვარელი ი. ჭავჭავაძის ქ. N1---ში არსებული ნი----- გუ-----ვის მაღაზი-ში ყოფნის დროს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა საფულეს, მასში არსებული ფულადი თანხით, რითაც დაზარალებულს მიაყენა 38 ლარი და 70 თეთრის მატერიალური ზიანი.

2. ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2019 წლის 21 მარტს, დაახლოებით 22:30 საათზე, არასრულწლოვნებმა გი----- იმ-----ლმა და გი----- დო-----ლმა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, უკანონოდ შეაღწიეს ქ. ყვარელში, ი. ჭავჭავაძის ქუჩა №2--ში მდებარე ვე----- ავ-----ლის ოჯახის კუთვნილი პურის საცხობში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლნენ მის კუთვნილ, დაახლოებით 27 ლარის ოდენობის ფულად თანხას.

3. ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2019 წლის 13 აპრილს, შუადღის საათებში, არასრულწლოვანმა გი----- იმ-----ლმა, ჯგუფურად, არასრულწლოვან გი----- დო-----ლთან ერთად, უკანონოდ შეაღწია ქ. ყვარელში, ჭავჭავაძის ქუჩაზე №1---ში მდებარე ვი----- ელ-----ლის კუთვნილი პურის საცხობში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 1000 ლარად ღირებულ ტრანსფორმატორს, რითაც დაზარალებულს მიდგა მნიშვნელოვანი ზიანი.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

სასამართლომ დაადგინა:

1. გი----- დო-----ლმა ჩაიდინა :

1.1. 2019 წლის 14 იანვარს, დაახლოებით 22:24 საათზე, არასრულწლოვანი გი----- დო-----ლი, ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. №4--ში

მდებარე სს "სმ-----ის" მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სუპერმარკეტიდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა სხვადასხვა დასახელების პროდუქციას, რითაც სს "სმ-----ს" მიაყენა 30,65 ლარის მატერიალური ზიანი.

1.2. ასევე 2019 წლის 15 იანვარს, დაახლოებით 20:07 საათზე, არასრულწლოვანი გი----- დო-----ლი, ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. №4--ში მდებარე სს "სმ-----ის" მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სუპერმარკეტიდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა სხვადასხვა დასახელების პროდუქციას, რითაც სს "სმ-----ს" მიაყენა 54,60 ლარის მატერიალური ზიანი.

1.3. 2019 წლის 21 მარტს, დაახლოებით 22:30 საათზე, არასრულწლოვანმა გი----- იმ-----ლმა და გი----- დო-----ლმა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, უკანონოდ შეაღწიეს ქ. ყვარელში, ი. ჭავჭავაძის ქუჩა №2--ში მდებარე ვე----- ავ-----ლის ოჯახის კუთვნილი პურის საცხობში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლენ მის კუთვნილ, დაახლოებით 27 ლარის ოდენობის ფულად თანხას.

1.4. 2019 წლის 09 აპრილს, 18:13 სთ-დან 18:24 სთ - მდე მონაკვეთში, არასრულწლოვანი გი----- დო-----ლი, ქ. ყვარელი ი. ჭავჭავაძის ქ. N1---ი მდებარე სს „ნი-----ს“ კუთვნილი სუპერმარკეტიდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 31 ლარის და 42 თეთრის საერთო ღირებულების პროდუქტს და სპირტიან სასმელებს, რითაც სს „ნი-----ს“ მიაყენა მატერიალური ზიანი.

1.5. 2019 წლის 25 აპრილს, 22:26 საათზე, არასრულწლოვანი გი----- დო-----ლი, ქ. ყვარელი ი. ჭავჭავაძის ქ. N1---ი მდებარე სს „ნი-----ს“ კუთვნილი სუპერმარკეტიდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 2 ბოთლ "დავითის" ფირმის კონიაკს, რითაც სს „ნი-----ს“ მიაყენა 16 ლარის და 56 თეთრის მატერიალური ზიანი.

1.6. 2019 წლის 13 აპრილს, შუადღის საათებში, არასრულწლოვანმა გი----- დო-----ლმა, ჯგუფურად, არასრულწლოვან გი----- იმ-----ლთან ერთად, უკანონოდ შეაღწია ქ. ყვარელში, ჭავჭავაძის ქუჩაზე №1---ში მდებარე ვი----- ელ-----ლის კუთვნილი პურის საცხობში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 1000 ლარად ღირებულ ტრანსფომატორს, რითაც დაზარალებულს მიდგა მნიშვნელოვანი ზიანი.

1.7. 2019 წლის 15 აპრილიდან, 2019 წლის 19 აპრილამდე დროის შუალედებში არასრულწლოვანმა გი----- დო-----ლმა, უკანონოდ შეაღწია

ქ. ყვარელში, ჭავჭავაძის ქუჩაზე №1---ში მდებარე ვი----- ელ-----ლის კუთვნილი პურის საცხობში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა მის კუთვნილ ლითონის ფილებს და სხვადასხვა ლითონის ნივთებს, რითაც დაზარალებულს მიდგა 3811,1 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

1.8. 2019 წლის 19 აპრილს არასრულწლოვანი გი----- დო-----ლი, ქ. ყვარელში, ჭავჭავაძის ქუჩაზე №1---ში მდებარე ვი----- ელ-----ლის კუთვნილი პურის საცხობიდან ცდილობდა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლებოდა ლითონის 17 ცალ ფილებს, რითაც დაზარალებულს შესაძლოა მისდგომოდა 188,7 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი და რა დროსაც იგი მხილებული იქნა შსს ყვარლის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ.

1.9. 2019 წლის 02 აგვისტოს, დაახლოებით 15:00 საათზე, არასრულწლოვანმა გი----- დო-----ლი, ქ. ყვარელში, ე.წ. „კაზარმების“ ტერიტორიაზე მდებარე გე--- გე---ძის მიწის ნაკვეთიდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა მის კუთვნილ 6.5 კილოგრამ თხილს, რითაც მას მიაყენა 45.50 ლარის მატერიალური ზიანი

1.10. 2019 წლის 14 მაისს, დაახლოებით 23:30 საათზე, გი----- დო-----ლმა ხელით ჩაამსხვრია ქ. ყვარელში, ჭავჭავაძის N1---ში მდებარე ნო----- სე----- ლის კუთვნილი სასურსათო მაღაზიის ფანჯრის მინა, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა სხვადასხვა დასახელების პროდუქტს, რითაც დაზარალებულს მიაყენა 18,80 ლარის მატერიალური ზიანი.

1.11. ქ. ყვარელი, აღდგომის ქ. №3--ში მცხოვრები არასრულწლოვანი გი----- დო-----ლი ხშირად იღებდა ალკოჰოლურ სასმელს, რაც მას ხდიდა აგრესიულს. ნასვამ მდგომარეობაში მყოფი გი----- დო-----ლი, 2019 წლის აგვისტოს თვიდან, 2020 წლის 25 იანვრამდე სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას მასთან ერთად მცხოვრებ მამას - ბო----- დო-----ლს, რომელსაც მიმართავდა უცენზურო სიტყვებით და ლახავდა მის პატივს და ღირსებას. გი----- დო-----ლის მიერ განხორციელებული ქმედებები იწვევდა ბო----- დო-----ლის ტანჯვას.

1.12. 2019 წლის დეკემბრის ბოლოს, გი----- დო-----ლმა უკანონოდ შეაღწია ქ. ყვარელი, დურუჯის ქ. №1-- - ში მდებარე, სე-----

მზ-----ლის საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე სათავსოში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისააკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა მის კუთვნილ 1 ცალ „FALCO“-ს ფირმის ხელის ამწეს (ე.წ. „ტალს“), რითაც დაზარალებულს მიაყენა 130 ლარის მატერიალური ზიანი.

1.13. 2020 წლის 12 იანვარს, დაახლოებით 20:30 საათზე, გი----- დო-----
---ლმა უკანონოდ შეაღწია ქ. ყვარელი, დურუჯის ქ. №1-- - ში მდებარე, სე----- მზ-----ლის საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე სათავსოში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისააკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა მის კუთვნილ ნივთებს, კერძოდ: 20 ლიტრიან ბიდონში მოთავსებულ ტრაქტორის დიზელის ძრავის ზეთს, 2 ცალი 5 ლიტრიან ბიდონს, მასში მოთავსებული ლურჯი ფერის სითხით, რის შემდეგაც გი----- დო-----ლმა უკანონოდ შეაღწია სე----- მზ-----ლის საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე არსებულ ოთახში და მართლსაწინააღმდეგო მისააკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა „KENWOOD“-ის ფირმის ხორცის საკვებ მანქანას. გი----- დო-----ლის ქმედების შედეგად, სე----- მზ-----ლს მიადგა 460 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

1.14. 2020 წლის 06 იანვარს, შსს ყვარლის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ გამომძიებელ - თე----- სე-----ლის მიერ, გი----- დო-----ლის მიმართ გამოცემული იქნა შემაკავებელი ორდერი № 0-----, რომლის თანახმადაც გი----- დო-----ლს აეკრძალა მსხვერპლთან - მამასთან, ბო----- დო-----ლთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, მათ შორის ტელეფონის, სოციალური ქსელისა და სხვა ტექნიური საშუალებებით. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გი----- დო-----ლმა არ შეასრულა შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნები და ვალდებულებები, 2020 წლის 25 იანვარს, საღამოს საათებში, იგი მივიდა ბო----- დო-----ლის სამუშაო ადგილზე, კერძოდ: ქ. ყვარელი, ფატმასურის დასახლებაში მდებარე ნო----- სე-----ლის კუთვნილ ვენახში არსებულ სადარაჯო ქოხში, სადაც ბო----- დო-----ლს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

2. გი----- იმ-----ლმა ჩაიდინა:

2.1. 2018 წლის 08 დეკემბერს, შუადღის საათებში, 14 წლის გი----- იმ-----ლი, ქ. ყვარელი ი. ჭავჭავაძის ქ. N1---ში არსებული ნი----- გუ-----ვის მაღაზი-ში ყოფნის დროს, მართლსაწინააღმდეგო მისააკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა საფულეს, მასში არსებული ფულადი თანხით, რითაც დაზარალებულს მიაყენა 38 ლარი და 70 თეთრის მატერიალური ზიანი.

2.2. 2019 წლის 21 მარტს, დაახლოებით 22:30 საათზე, არასრულწლოვანებმა

გი----- იმ-----ლმა და გი----- დო-----ლმა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, უკანონოდ შეაღწიეს ქ. ყვარელში, ი. ჭავჭავაძის ქუჩა №2--ში მდებარე ვე----- ავ-----ლის ოჯახის კუთვნილი პურის საცხობში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლენ მის კუთვნილ, დაახლოებით 27 ლარის ოდენობის ფულად თანხას.

2.3. 2019 წლის 13 აპრილს, შუადღის საათებში, არასრულწლოვანმა გი----- იმ-----ლმა, ჯგუფურად, არასრულწლოვან გი----- დო-----ლთან ერთად, უკანონოდ შეაღწია ქ. ყვარელში, ჭავჭავაძის ქუჩაზე №1---ში მდებარე ვი----- ელ-----ლის კუთვნილი პურის საცხობში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 1000 ლარად ღირებულ ტრანსფორმატორს, რითაც დაზარალებულს მიდგა მნიშვნელოვანი ზიანი.

2. ქმედების სამართლებრივი აღწერა

2.1. ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

სასამართლოში საქმის განხილვისას გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურდა გი----- დო-----ლის (5 ეპიზოდი) და გი----- იმ-----ლის (1 ეპიზოდი) მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა შემდეგი მტკიცებულებებით:

კერძოდ: ზა--- სე-----ლის განცხადება, მოწმეების ზა--- სე-----ლის, გი----- დო-----ლის, გი----- ზუ-----ლის, გი----- მა-----ლის, სო----- ლა-----ლის, ლი- ბი-----ლის, ლე--- გო-----ლის, ივ--- წი-----ლის, გი----- ზუ-----ლის, შა--- ზუ-----ლის, ან-- ქო-----ლის, მა-- ავ-----ლის, CD დისკის დათვალიერების ოქმი და CD დისკი, კონიაკის ბოთლის ამოღების ოქმი და 2 ბოთლი კონიაკი, თხილის ამოღების ოქმი, თხილის ნაჭუჭი, შეტყობინება დანაშაულის შესახებ N2-----, მოწმე ნი----- გუ----- ვის გამოკითხვის ოქმი, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ივ--- წი-----ლის პატაკი, ივ--- წი-----ლის გამოკითხვის ოქმი, მოწმეების გი----- იმ-----ლი, გი----- დო-----ლი გამოკითხვის ოქმი, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, ამოღების ოქმი, მოწმე ზუ----- ჩხ--დის გამოკითხვის ოქმი, შავი საფულე და 10 ლარიანი კუპიურა, ნი----- კუ-----ვის მიერ წარმოდგენილი CD დისკი, ავერსისი აფთიაქის ბარათი და სხვა დოკუმენტებით, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე მხარეთა მიერ შეთანხმებული და უდავო ფაქტობრივი გარემოებებია და რომლებიც სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გამოკვლევის გარეშე.

ქურდობა ეს არის ფართოდ განვრცელებული, პირდაპირი განზრახვის დანაშაული. ქურდობის დროს ხდება სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ქურდობისათვის დამახასიათებელია ფარულობა. 177-ე მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიცირდება ქურდობა, როდესაც ნივთის ფასი არ აღემატება 150 ლარს.

გი----- დო-----ლმა 5 სხვადასხვა ეპიზოდში (აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილის-1.1; 1.2; 1.4; 1.5; 1.9) და გი----- იმ-----ლმა ერთ ეპიზოდში (აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილის-2.1) ჩაიდინეს ქურდობა სხვადასხვა ნივთების, რომელთა ღირებულება არ აღემატებოდა 150 ლარს.

2.2. ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით.

სასამართლოში საქმის განხილვისას გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურდა გი----- დო-----ლის (3 ეპიზოდი დამთავრებული დანაშაული 1 ეპიზოდი მცდელობა) მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 2-ე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და 19-177-ე მუხლის 2-ე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა შემდეგი მტკიცებულებებით:

1. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა დაზარალებულმა **ვი----- ელ-----ლმა** განაცხადა შემდეგი: იგი მუშაობს სს „სმ-----ის“ მაღაზიაში და ამ სისხლის სამართლის საქმეში არის მათი წარმომადგენელი. ბრალდებულ გი-----დო-----ლს იცნობს, მას შეატყობინეს, რომ მის პურის საცხობში ღამით იყო რაღაც ხმაური და წავიდა შესამოწმებლად. პურის საცხობი ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს. როდესაც საცხობში მივიდა კარები დახვდა ღია, შევიდა და დაინახა გი----- დო-----ლი, რომელიც დააკავა და დარეკა პოლიციაში. პურის საცხობში მოპარულია რკინის ფილები, ქვაბი, ტრანსფორმატორი, სულ ზიანმა შეადგინა 7000 ლარი. ასევე განაცხადა, რომ სს „სმ-----ის“ მაღაზიაში გი----- დო-----ლმა სხვადასხვა დროს მოიპარა სხვადასხვა დასახელების საქონელი.

2. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა **და---- ხა----- ლმა** განაცხადა შემდეგი: იგი ცხოვრობს ქალაქ ყვარელში. გი----- დო-----ლი მისი უბნელია და კარგად იცნობს. გი----- იმ-----ლს არ იცნობს. 2019 წლის 17 აპრილს გი----- დო-----ლმა სთხოვა მიხმარებოდა ტაქსში ჯართის ჩატვირთვაში. მას უარი არ უთქვამს და ტაქსში ჩატვირთეს რკინის ფილები და წაიღეს ჭრ-----ლის ჯართის მიმღებ პუნქტში, მისი

პირადობის მოწმობით. ორჯერ ჩააბარებინა გი----- დო-----ლს ჯართი. მისთვის უცნობი იყო თუ ფილები მოპარული იყო, რადგან გი-----მ უთხრა, რომ ფილები მოაგროვა და არ მოუპარია. ჯართის ჩაბარების შედეგად მისცეს 200 ლარი, რომელიც მთლიანად გი-----ს გადასცა და მას თანხა დახმარებაში არ აუღია.

2. ასევე გი----- ქა-----ლის, გი----- დო-----ლის, გი----- იმ-----ლის, ნო----- ჭრ-----ლის, და---- ხა-----ლის, ვი----- ელ-----ლის გამოკითხვის ოქმებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ამოღებული ნივთებით: ძალაყინი, 34 თუნუქის ფილა, 17 თუნუქის ფილა, 86 ცალი თუნუქის ფილა, 3 ცალი ქვაბი, ტრანსფორმატორის დეტალები, სისხლის ნიმუშის არების ოქმით, ამოღების ოქმით, გი----- დო-----ლის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ბიოლოგიური(გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნით და სხვა დოკუმენტებით, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე მხარეთა მიერ შეთანხმებული, უდავო ფაქტობრივი გარემოებებია და რომლებიც სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გამოკვლევის გარეშე.

ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ფარულად, პირდაპირი განზრახვით. 177-ე მუხლის მეორე ნაწილით ჩადენილი ქურდობა არის დამამძიმებელი გარემოებებით ჩადენილი ქმედება, როგორცაა მნიშვნელოვანი ზიანი და სადგომში ან საცავში შეღწევა. ზიანი მნიშვნელოვანია, თუ ნივთის ფასი აღემატება 150 ლარს. სადგომში იგულისხმება შენობა-ნაგებობა, რომლებიც ადამიანთა და ფასეულობათა განთავსების ადგილია. სხვა საცავი კი არის ფასეულობათა მუდმივი ან დროებით განთავსების ადგილი. ქურდობა სადგომში ან საცავში შეღწევით მაშინ კვალიფიცირდება, როდესაც ქმედების ჩამდენს არ აქვს უფლება ამ სადგომში და საცავში განთავსებულ ნივთებზე, მაგრამ მათ ეუფლება მესაკუთრისგან ფარულად, ამ სადგომში ან საცავში შეღწევით.

ბრალდებული გი----- დო-----ლი 3 სხვადასხვა ეპიზოდში (აღწერილობით სამოტივაციო ნაწილის -1.7; 1.10; 1.12) ჩაიდინა ქურდობა სადგომში შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

2.3. ქურდობის მცდელობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების მცდელობა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რასაც შესაძლოა გამოეწვია მნიშვნელოვანი ზიანი, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-ე მუხლის 1-ლი და 2-ე ნაწილების თანახმად - 1. დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.
2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მცდელობისათვის განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის, ამ მუხლზე მითითებით.

გი----- დო-----ლი 2019 წლის 19 აპრილს ქ. ყვარელში, ჭავჭავაძის ქუჩაზე №1---ში მდებარე ვი----- ელ-----ლის კუთვნილი პურის საცხობიდან ცდილობდა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა ლითონის 17 ცალ ფილას, რითაც დაზარალებულს შესაძლოა მისდგომოდა 188,7 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი და რა დროსაც იგი მხილებული იქნა შსს ყვარლის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ.

აქედან გამომდინარე დადსტურებულია, რომ გი----- დო-----ლმა ჩაიდინა ქურდობის მცდელობა.

2.4. ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

სასამართლოში საქმის განხილვისას გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურდა გი----- დო-----ლის (სამი ეპიზოდი) და გი----- იმ-----ლის (ორი ეპიზოდი) მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ „ბ“ ქვეპუნქტებით და 3- ე ნაწილის „ა“ „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა შემდეგი მტკიცებულებებით:

კერძოდ: გი----- ქა-----ლის, გი----- დო-----ლის, გი----- იმ-----ლის, ნო----- ჭრ-----ლის, და---- ხა-----ლის, ვი----- ელ-----ლის გამოკითხვის ოქმებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ტრანსფორმატორის დეტალებით და სხვა დოკუმენტებით, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე მხარეთა მიერ შეთანხმებული, უდავო ფაქტობრივი გარემოებებია და რომლებიც სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გამოკვლევის გარეშე.

სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილით კვალიფიცირდება ქურდობა, როდესაც იგი ჩადენილია ა) წინასწარი

შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ბ) არაერთგზის; გ) ბინაში უკანონო შეღწევით; დ) სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ.

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის 2-ე ნაწილის თანახმად - დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

ბინაში შეღწევა ნიშნავს სხვის საცხოვრებელ ბინაში უკანონოდ შეღწევას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გი----- დო-----ლმა და გი----- იმ----- ლმა წინასწარ შეთანხმებით ჩაიდინეს ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით ორი ეპიზოდი (აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილის -1.3; 1.6; 2.2; 2.3.).

ასევე გი----- დო-----ლმა ერთ ეპიზოდში ჩაიდინა ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით (აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილის -1.13;).

2.5. ჩაიდინა ოჯახში ძალადობა.

სასამართლოში საქმის განხილვისას გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურდა გი----- დო-----ლის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა შემდეგი მტკიცებულებებით:

კერძოდ: მოწმეების: თე----- სე-----ლის, თე----- სე-----ლის, ბე-- ზა----- ლის, გი-- პა-----ლის, ან---- გა-----ვის, თა---- მა-----ძის გამოკითხვის ოქმები, დაზარალებულ ბო----- დო-----ლის გამოკითხვის ოქმები, შემაკავებელი ორდერის ოქმი და შემაკავებელი ორდერი №0-----, შემაკავებელი ორდერის ოქმი და შემაკავებელი ორდერი №0----- შემაკავებელი ორდერის ოქმი და შემაკავებელი ორდერი №0----- და სხვა დოკუმენტებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე მხარეთა მიერ შეთანხმებული, უდავო ფაქტობრივი გარემოებებია და რომლებიც სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გამოკვლევის გარეშე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ მუხლის შენიშვნის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის მიზნებისათვის ოჯახის წევრად ითვლება: მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწვიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

ბო----- დო-----ლი არის ბრალდებულის მამა და ოჯახის წევრი.

ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური. ფსიქოლოგიური ძალადობაა ლანძღვა-გინება, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, რომელიც ადამიანში სულიერ ტანჯვას იწვევს.

ამასთან მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულმა ქმედებებმა არ გამოიწვიოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ **გი----- დო-----ლმა** მიაყენა რა სიტყვიერი შეურაცხყოფა მამას ბო----- დო-----ლს, ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც დაზარალებულის სულიერი ტანჯვა გამოიწვია.

2.6. ოჯახის წევრის მიმართ ჩაიდინა შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების და ვალდებულებების შეუსრულებლობა.

სასამართლოში საქმის განხილვისას გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურდა გი----- დო-----ლის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ 381¹ პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა შემდეგი მტკიცებულებებით:

